

პოლონეთის დელეგაცია თიბისი ბანკში სემინარს ჩაატარებს

2 დეკემბერს, 10:30 საათზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის ინიციატივით, თიბისი ბანკის სათავე ოფისში პოლონეთის დელეგაცია ჩაატარებს სემინარს „ვარშავის საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოში“.

შეხვედრაზე განხილული იქნება ვარშავის საფონდო ბირჟის საქმიანობა და მის მაგალითზე საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პერსპექტივები.

სემინარს გახსნიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ნიკა გილაური და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბადრი ჯაფარიძე. შეხვედრას ასევე დაესწრებიან ქართული ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლები.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სფეროში პოლონურ გამოცდილებაზე ისაუბრებენ მოწვეული სტუმრები, მათ შორის პოლონეთის ხაზინის მინისტრის მოადგილე, **კრიშტოფ ვალენჩაკი**; ვარშავის საფონდო ბირჟის ბაზრის განვითარების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, **რობერტ კვიატკოვსკი**, და პოლონეთის ფასიანი ქაღალდების ეროვნული დეპოზიტარის საერთაშორისო კლიენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, **მაიკლ დუგლასი**.

სემინარის დასრულების შემდეგ შედგება კითხვა-პასუხის სესია და პირისპირ შეხვედრები.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ ეორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3